

წინამდებარე ინდივიდუალური ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია ზემოთ მითითებულ თარიღში შემდეგ მხარეებს შორის: ერთის მხრივ, სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 405206566) (შემდგომში „მზღვეველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის არჩილ მორჩლაძის სახით, და მეორეს მხრივ, “_____” (პ/ნ _____) (შემდგომში „დამზღვევი“), ვთანხმდებით შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინები

- 1.1. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებსა და გამოთქმებს ენიჭება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შემდეგი მნიშვნელობა:
 - **ასაკობრივი შეზღუდვა** – დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული მინიმალური ან/და მაქსიმალური ასაკობრივი ზღვარი, რომელიც, პოლისის და ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის, წარმოადგენს პირის დაზღვევას დაქვემდებარებულად მიჩნევის კრიტერიუმს. ასევე, ამ მუხლის მიზნებისათვის, პირი, რომლის ასაკიც ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის ძალაში შესვლის თარიღიდან მომდევნო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში იზრდება და აღემატება დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ მინიმალურ/მაქსიმალურ ასაკს, არ ექვემდებარება დაზღვევას.
 - **გამომუშავებული პრემია** – პრემიის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდის შეფარდებას საწყის სადაზღვევო პერიოდთან და რომელიც უპირობოდ ექვემდებარება დამზღვევის მიერ ანაზღაურებას (რაც არ გამოირიცხავს სხვა ანაზღაურების ვალდებულებას დამზღვევის მიერ, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით).
 - **დამზღვევი** – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც დებს ამ ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის სადაზღვევო პრემიას ამ ხელშეკრულებით და შესაბამისი თანდართული დოკუმენტით (ასეთის არსებობისას) დადგენილი წესით;
 - **დაზღვეული / მოსარგებლე** - 1-დან 65 წლის ჩათვლით ფიზიკური პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა (წარმოდგენილი შესაბამისი დანართით); დაზღვევას არ ექვემდებარებიან დაზღვევის მომენტში ჰოსპიტალურ მკურნალობაზე მყოფი პირები, მწოლიარე ავადმყოფები, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებელი გადაადგილება ან/და სჭირდებათ დამხმარე, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად, ფსიქიურად დაავადებულები.
 - **მზღვეველი** - სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და დამზღვევთან დებს ამ ხელშეკრულებას;
 - **მხარეები** - მზღვეველი და დამზღვევი ერთობლივად;
 - **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, ან მომსახურება, რომელიც მზღვეველისგან ეკუთვნის დამზღვევს/მოსარგებლეს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას;
 - **სადაზღვევო პერიოდი** – სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა არის ძალაში;
 - **სადაზღვევო პრემია (პრემია)** – თანხა (დაზღვევის ღირებულება), რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა მზღვეველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურად.
 - **სადაზღვევო რისკი** - მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა;
 - **სადაზღვევო შემთხვევა** - სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული შემთხვევები, რომელთა დადგომისას წარმოიშვება მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება მხოლოდ სადაზღვევო პერიოდში მომხდარი შემთხვევა;
 - **სამუშაო დღე** - ნებისმიერი დღე, შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა, როდესაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას;
 - **ფორს-მაჟორი** – მხარეთათვის გადაუალახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოება, რომელიც: ა) არ არის დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა თუ დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს იმ მხარის ხელშეკრულებით ან/და პოლისით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე, რომელიც მიუთითებს ფორს-მაჟორულ გარემოებაზე;
 - **ხელშეკრულება** - წინამდებარე დოკუმენტი, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, ასევე ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი, რომელიც მხარეთა შორის ფორმდება ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის (მათ შორის, ჯანმრთელობის დაზღვევის აპლიკაცია (ასეთის არსებობისას), ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათ(ებ)ი, ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები და ა.შ.).
 - **ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი (ბარათი)** - მზღვეველის მიერ ამ ხელშეკრულების საფუძველზე დამზღვევზე დაზღვეულ(ებ)ისთვის გადასაცემად გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი/მოწმეობა.

- **ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები** – დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება ჯანმრთელობის დაზღვევის სპეციალური პირობები, დაზღვევის სხვადასხვა პაკეტების მიხედვით (ასეთის არსებობისას), რაც, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდგომ, დანართების სახით დაერთდება წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;
 - **მოცდის პერიოდი** - პერიოდი, რომლის განმავლობაში დამდგარი ზიანი დაზღვეულს არ უნაზღაურდება;
 - **ანაზღაურების ლიმიტი** - წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ბარათში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გაცემული ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს კონკრეტული სადაზღვევო დაფარვისთვის;
- 1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებული ყველა სხვა ტერმინი გამოიყენება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულებით შეთანხმებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად განსაზღვრული პრემიის გადახდის სანაცვლოდ, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, გაუწიოს დამზღვევეს/მოსარგებლეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურება, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.2. სადაზღვევო პერიოდი იწყება სადაზღვევო ბარათში მითითებული პირველი დღის 00.00 საათზე და მთავრდება პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების ვადის ბოლო დღის 24 (ოცდაოთხი) საათზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ადგილი აქვს დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტას).
- 2.3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებული/გაცემული ჯანმრთელობის დაზღვევის დამატებითი პირობები წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის განუყოფელ ნაწილს და წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად არეგულირებს დაზღვევასთან დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობას. შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულება, ჯანმრთელობის დაზღვევის დამატებითი პირობები და შესაბამისი დანართები (მათ შორის ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი(ებ)ი, ჯანმრთელობის დაზღვევის აპლიკაცია/აპლიკაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს ერთიან სადაზღვევო დოკუმენტაციას.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მზღვეველი ვალდებულია:

- 3.1.1. უზრუნველყოს დამზღვევისათვის ყველა იმ დოკუმენტის გადაცემა, რომლებიც საჭიროა დაზღვევის გაფორმებისათვის;
- 3.1.2. გასცეს დაზღვეულზე ბარათი;
- 3.1.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად გადახდილი პრემიის საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაუროს ზარალი წინამდებარე ხელშეკრულებით და თანდართული დოკუმენტაციებით დადგენილი წესით.

3.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

- 3.2.1. დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების, მათ შორის პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, შეაჩეროს და/ან შეწყვიტოს დაზღვევა;
- 3.2.2. არ ანაზღაუროს დამზღვევის ან დაზღვეულის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანი;
- 3.2.3. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის მიერ ამ ხელშეკრულებით ან/და პოლისის შემადგენელი სხვა დოკუმენტაციით გათვალისწინებული წესების დარღვევის შემთხვევაში;
- 3.2.4. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულის მიერ (ან დაზღვეულის თანამონაწილეობით) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს, მზღვეველის მოთხოვნისთანავე;
- 3.2.5. მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი ან საბუთი რაც აუცილებელი ან მიზანშეწონილია ზიანის გამოძწვევი პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის წარსადგენად (რეგრესული მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);
- 3.2.6. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში წერილობით მოითხოვოს დამზღვევისაგან პირგასამტეხლოს გადახდა გადასახდელი პრემიის 0.05%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის. პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობითი შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამზღვევეს პრემიის გადახდის ვალდებულების შესრულებისაგან;
- 3.2.7. რისკის ცვლილების (საფრთხის გაზრდის) შესახებ ინფორმაციის მიღებისას, მოითხოვოს პოლისით გათვალისწინებული პირობების შეცვლა (მათ შორის სადაზღვევო პრემიის გაზრდა) ან დაზღვევის შეწყვეტა; იგივე უფლებები მზღვეველს გააჩნია იმ შემთხვევაშიც, თუ მზღვეველს არ ეცნობა არსებითი გარემოების შესახებ ან თუ არსებითი გარემოებების შესახებ შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს;
- 3.2.8. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს დამზღვევეს/მოსარგებლეს ყოველგვარი ცნობა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის დასადგენად და/ან მოცულობის განსასაზღვრად;

- 3.2.9. ისარგებლოს პოლისით მისთვის მინიჭებული უფლებებით;
- 3.2.10. მოითხოვოს დამზღვევისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით და დაზღვევის პოლისში შემავალი სხვა ნებისმიერი დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულება;
- 3.2.11. დაზღვეულის მოთხოვნის საფუძველზე გასცეს ცნობა დაზღვევის თაობაზე შესაბამის ანაზღაურების სანაცვლოდ (პოლიტიკით ასთვის არსებობისას);
- 3.2.12. მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით, მისი დანართით ან/და ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებები და პროცედურები;
- 3.2.13.

3.3. დამზღვევი ვალდებულია:

- 3.3.1. მზღვეველის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, შეავსოს და მზღვეველს წარუდგინოს მოთხოვნილი დაზღვევის სახეობისთვის მზღვეველის მიერ შემუშავებული განაცხადის ფორმა (ასეთის არსებობისას);
- 3.3.2. დაზღვევის მიზნებისათვის, წარუდგინოს მზღვეველს (მათ შორის ელექტორნული ფორმით) ამ ხელშეკრულების 4.3 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია ზუსტად/ხარვეზების გარეშე. არაზუსტი/ხარვეზით მოწოდებული ინფორმაციაზე პასუხისმგებელია დამზღვევი/დაზღვეული;
- 3.3.3. გადაიხადოს პრემია დაზღვევის ხელშეკრულებაში მოცემული პირობებისა და ვადების დაცვით;
- 3.3.4. ხელშეკრულების მიღებამდე გააცნოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის. არსებითად ჩაითვლება ასევე გარემოება, რომლის შესახებაც მზღვეველი წერილობით შეეცითხება დამზღვევს გარკვევით და არაორაზროვნად;
- 3.3.5. დეტალურად გააცნოს წინამდებარე დაზღვევის პირობები მოსარგებლე(ებ)ს;
- 3.3.6. ხელი შეუწყოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოკვლევა-მოძიებას და გადასცეს მას ყოველგვარი ცნობა, რომელიც კი აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვალეობის მოცულობის დასადგენად და რომელზეც წვდომა აქვს დამზღვევს; მიაჩნის მზღვეველს უფლება და შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში გასცეს წერილობითი თანხმობები კანონმდებლობით დადგენილი წესით, იმისათვის რომ მზღვეველმა შეუფერხებლად აწარმოოს მოკვლევა სადაზღვევო შემთხვევის შესახებ, მოიპოვოს ნებისმიერი დოკუმენტაცია სახელმწიფო, კერძო თუ სხვა სახის ორგანიზაციებში სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისთვის, რისკების კონტროლისთვის, სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გადამოწმების და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით;
- 3.3.7. უზრუნველყოს მზღვეველისათვის იმ დოკუმენტაციის სრულად გადაცემა, რომელზეც წვდომა გააჩნია დამზღვევს და რომლის საფუძველზეც, მზღვეველი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება პირებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულისათვის მიყენებულ ზიანზე.
- 3.3.8. დაზღვეულის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება არ ათავისუფლებს დამზღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

- 3.4.1. მოითხოვოს მზღვეველისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით და ხელშეკრულებაში შემავალი სხვა ნებისმიერი დოკუმენტით დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულება;

4. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

- 4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დამზღვევის მიერ, დაზღვეულთა სასარგებლოდ, გადასახდელი ჯამური სადაზღვევო პრემია დაანგარიშდება პოლისის პირობებისა და დაზღვეულთა რაოდენობის შესაბამისად. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ყველა დაზღვეულზე სრულად.
- 4.2. პრემიის გადახდა უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში, ლარში;
 - 4.2.1. თვის [] რიცხვში, ამასთან პირველი გადახდა ხორციელდება არაუმეტეს **00/00/2021 თარიღში**.
 - 4.2.2. მომდევნო სამუშაო დღეს, თუ პრემიის გადახდის დღე დაემთხვა არასამუშაო ან საქართველოში გამოცხადებულ უქმე დღეს.
- 4.3. პრემიის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესაბამისი თანხის გადარიცხვის გზით, პოლისით გათვალისწინებულ ან მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის წერილობითი ფორმით მითითებულ სხვა საბანკო ანგარიშზე.
- 4.4. სადაზღვევო პრემიას „დაზღვეული“ იხდის განვადების წესით ყოველთვიურად, პირველი თვის შესატანი და გადახდის გრაფიკი განისაზღვრება სადაზღვევო ხელშეკრულებით;
- 4.5. პირველი და ბოლო თვის სადაზღვევო პრემია (სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილი) გადახდილ უნდა იქნას წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი პრემიის ოდენობა პროპორციულად განაწილდება შემდეგი 10 თვის პერიოდზე, დარჩენილი პრემიის 10 თვეზე დაყოფით მიღებული შედეგის თანახმად, თანაბარი ტრანშების ოდენობით; სადაზღვევო პერიოდი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
- 4.6. მთელი წლის პრემიის ერთჯერადად გადახდის შემთხვევაში თანხა მცირდება 10%-ით; ორჯერადად გადახდის შემთხვევაში - 5%-ით.

შენიშვნა: ბარათის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში - მოსთხოვოს მზღვეველს დაკარგული ბარათის ძალადაკარგულად გამოცხადება და მისი დუბლიკატის გაცემა. ბარათის აღდგენის ღირებულება შეადგენს 3 (სამი) ლარს.

- 4.7. წინამდებარე ხელშეკრულების დაზღვეულის მიერ ვადამდე შეწყვეტისას, იმ შემთხვევაში, თუ „დამზღვევა“ ერთხელ მაინც ისარგებლ(ეს)ა დაზღვევით, „დამზღვევი“ ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი სადაზღვევო პაკეტით განსაზღვრული სადაზღვევო პრემია სრულად.
 - 4.8. წინამდებარე ხელშეკრულების დაზღვეულის მიერ ვადამდე შეწყვეტისას, იმ შემთხვევაში, თუ „დამზღვევს“ არ უსარგებლია დაზღვევით, „დამზღვევი“ ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი სადაზღვევო პაკეტით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის დარჩენილი გადასახდელი პრემიის ნაწილის - 20%.
- 4.9. თუ სადაზღვევო პრემია დროულად არ არის გადახდილი, მაშინ დამზღვევს განესაზღვრება გადახდის ორკვირიანი ვადა. თუ მითითებული ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ამ დროისათვის დამზღვევის მიერ გადაცილებულია პრემიის ან/და ვადაგადაცილებისთვის პრემიაზე დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი სრულად თავისუფლდება ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტის პირობები

- 5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედია სადაზღვევო ბარათით განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე (გარდა იმ შემთხვევისა თუ არსებობს ხელშეკრულების შეწყვეტის კანონისმიერი და/ან სახელშეკრულებო საფუძველები)
- 5.2. ხელშეკრულების მოქმედება ან კონკრეტული დაფარვის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:
 - 5.2.1. დამზღვევის და მზღვეველის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
 - 5.2.2. დამზღვევის მიერ, ცალმხრივად:
 - 5.2.2.1. მზღვეველისთვის ხელშეკრულების მოშლის ან დაზღვევის პოლისის მოქმედების შეწყვეტის შესახებ 60 (სამოცი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით;
 - 5.2.2.2. დაუყოვნებლივ, მზღვეველისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, თუკი:
 - ი. მზღვეველი უხეშად არღვევს ამ ხელშეკრულებით ან სადაზღვევო პოლისის სხვა ნებისმიერი დოკუმენტით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს და არ გამოასწორებს დარღვევას 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;
 - იი. მზღვეველის მიმართ ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში.
 - 5.2.3. მზღვეველის მიერ, ცალმხრივად:
 - 5.2.3.1. დაუყოვნებლივ, თუ დამზღვევი/მოსარგებლე ან მისი (მათი) სახელით მოქმედი პირი არ შეასრულებს ამ ხელშეკრულების ან/და დაზღვევის პოლისის სხვა ნებისმიერი დოკუმენტით გათვალისწინებულ არსებით პირობებს, ან დამზღვევის მხრიდან პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, თუკი დარღვევა არ გამოსწორდება (რაც აგრეთვე გულისხმობს დარიცხული პირგასამტეხლოს სრულად დაფარვას) 1 (ერთი) თვის ვადაში;
 - 5.2.3.2. დაუყოვნებლივ, დამზღვევის ან/და დაზღვეულის მიერ სადაზღვევო შემთხვევის გაყალბების აღმოჩენის შემთხვევაში, დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ ხელშეკრულება შეწყდება უშუალოდ დამრღვევ პირთან მიმართებაში, თუ მეორე პირის ჩართულობა არ ვლინდება ამ ნორმით გათვალისწინებულ სადაზღვევო შემთხვევის გაყალბების ფაქტში;
 - 5.2.3.3. სადაზღვევო რისკის ცვლილების (საფრთხის გაზრდის) შესახებ ინფორმაციის მიღებისას, 1 (ერთი) თვიანი ვადის დაცვით; ვადის დაცვა აუცილებელი არ არის თუ დამზღვევმა ან დაზღვეულმა საფრთხე განზრახ გამოიწვია ან დროულად არ შეატყობინა მზღვეველს საფრთხის გაზრდის შესახებ;
 - 5.2.3.4. სადაზღვევო პოლისის დამატებითი პირობებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ჯანმრთელობის დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით;
 - 5.2.3.5. კანონით გათვალისწინებული (ასეთი პირობის არსებობისას), დამზღვევისათვის შეწყვეტამდე 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.
- 5.3. თუ დაირღვა პრემიის გადახდის პირობები (სრული პრემია ან რომელიმე შენატანი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი), მზღვეველი წერილობითი შეტყობინების შემდეგ 2 (ორი) კვირიანი ვადის გასვლისას თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან. გადახდის გრაფიკის აღდგენის და პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ, მხარეთა ურთიერთობა გაგრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით, თუმცა ამავე დროს მზღვეველი არ იქნება პასუხისმგებელი მხარეთა ურთიერთობის აღდგენამდე მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების შედეგად წარმოშობილი ზარალის ანაზღაურებაზე.
- 5.4. დამზღვევის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ან რომელიმე დაზღვეულის მიმართ ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ადრე მოშლის ან დამზღვევის მიერ ხელშეკრულების ან პოლისის პირობების დარღვევის გამო მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ მზღვეველის მიერ გამოიმუშავებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ანაზღაურებულია სადაზღვევო შემთხვევა (მიუხედავად ანაზღაურების მოცულობისა) დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს დაზღვევის შეწყვეტის მომენტისთვის სრულად გამოიმუშავებული პრემია.
- 5.5. მხარეებს უნდა ეცნობოთ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 6.1. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების, შესაბამისი ჯანმრთელობის დაზღვევის პირობების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- 6.2. გარდა ზემოაღნიშნულისა, მხარეები სრულად აუნაზღაურებენ ერთმანეთს ბრალეული ქმედებით მიყენებულ ზიანს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 6.3. ამ ხელშეკრულებით ან პოლისით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

- 7.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა ფორს-მაჟორული გარემოება.
- 7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ პირველივე ობიექტური შესაძლებლობისთანავე უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
- 7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
- 7.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

8. გამოსაყენებელი სამართალი და დავათა გადაწყვეტა

- 8.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.2. მხარეები მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მათ შორის წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაწყვიტონ მოლაპარაკებათა გზით, ხოლო სადაო საკითხების მოლაპარაკებათა გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

9. მხარეთა ურთიერთობა

- 9.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზაზე (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ფაქსის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.
- 9.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.).
- 9.3. მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება უკუგზავნილად შესრულებულად.

10. კონფიდენციალურობა

- 10.1. მხარეები ვალდებული არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
- 10.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:
 - 10.2.1. რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;
 - 10.2.2. თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება მხარეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად, მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების განსახორციელებლად;
 - 10.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;
 - 10.2.4. თუ ინფორმაციის მესამე პირისთვის გამჟღავნება მოხდება: ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გამცემი მხარე სრულად აგებს პასუხს მესამე პირის მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე ან ბ) რომელიმე მხარისგან დამოუკიდებლად.
- 10.3. ამ ხელშეკრულების ორივე მხარე (დამზღვევი და მზღვეველი) უფლებამოსილია მზღვეველის/დამზღვევის ან დაზღვეულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირს დამზღვევის მიერ ხელშეკრულების ან/და სადაზღვევო

პოლისის პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მზღვეველის უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და მზღვეველის/დამზღვევის მიერ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

11. დასკვნითი დებულებები

- 11.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მათ შორის და არა მხოლოდ, დაზღვეულთა ელექტრონული მისამართები, ტელეფონის ნომრები და ა.შ. - მზღვეველის მიერ გამოყენებულ იქნება დაზღვეულთან უშუალო და სწრაფი კომუნიკაციის მიზნებისათვის სერვისის მაღალი სტანდარტის, სადაზღვევო სფეროში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებისა და გაიდლაინების, დაზღვევის ზედამხედველობის მითითებებისა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის უზრუნველყოფის მიზნებისათვის.
- 11.2. ასევე, მხარეები თანხმდებიან, რომ დაზღვევის მიერ მოწოდებული პერსონალური ინფორმაცია ექვემდებარება მზღვეველის მიერ დამუშავებას კანონით დადგენილი და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის, ამასთანავე, დამზღვევი ადასტურებს, რომ მის მიერ მოწოდებული პერსონალური ინფორმაცია ექვემდებარება გადამოწმებას სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის სააგენტოს ბაზაში, ასევე, სხვა ნებისმიერი ბაზაში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად და ჯეროვნად შესრულებას, მათ შორის იგულისხმება ინფორმაციის მიწოდება/გაცვლა პროვაიდერი კლინიკებისათვის და ა.შ.
- 11.3. ამ ხელშეკრულების 11.2 მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის დამზღვევი ადასტურებს, რომ პერსონალური ინფორმაციის ამ ხელშეკრულების 11.1 და 11.2 პუნქტით გათვალისწინებულ დამუშავებაზე თანხმობა დამზღვევის მოპოვებული აქვს დაზღვეულ/ებ/ისაგან და მზღვეველის მიერ წერილობითი (მათ შორის ელექტრონული) მოთხოვნის შემთხვევაში (ასეთი საჭიროებისას), თანხმობები ექვემდებარება მისთვის წარდგენას.
- 11.4. მხარეები ადასტურებენ, რომ დაზღვევის მიზნებისათვის დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის მოწოდებული ინფორმაცია შეესაბამება წარმოდგენილი ხელშეკრულებითა და პოლისით გათვალისწინებულ პირობებს (მათ შორის, და არა მხოლოდ, ასაკობრივი შეზღუდვა და ა.შ.). მზღვეველი უდლებამოსილია, პოლისის მოქმედების ვადაში ნებისმიერ დროს, გამოითხოვოს დოკუმენტაცია/ინფორმაცია დამზღვევის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნებისათვის. ყოველგვარი წინააღმდეგობისას, თუ მოწოდებული არსებითი ინფორმაცია ეწინააღმდეგება პოლისის პირობებს, დამზღვევი უფლებამოსილია შეწყვიტოს პოლისის მოქმედება დამზღვევთან ან/და ინდივიდუალურად დაზღვეულთან არაზუსტად მოწოდებული ინფორმაციის შეტყობის თარიღიდან;
- 11.5. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების, აგრეთვე პოლისის შემადგენელი ყველა დოკუმენტის (სრული სადაზღვევო დოკუმენტაცია) შინაარსის დეტალური და გონივრული განსჯის შედეგად.
- 11.6. ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული დაზღვევის პოლისის რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული დაზღვევის პოლისის ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული დაზღვევის პოლისით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.
- 11.7. ხელშეკრულებას და პოლისის შემადგენელ სხვა დოკუმენტებს (იგულისხმება - ჯანმრთელობის დაზღვევის აპლიკაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი, ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები) შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, უპირატესობა ენიჭება ზემოაღნიშნულ პოლისის შემადგენელ სხვა დოკუმენტებს (იგულისხმება - ჯანმრთელობის დაზღვევის აპლიკაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი, ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები).
- 11.8. სადაზღვევო პოლისი და შესაბამისად, ეს ხელშეკრულება, მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, თუ მექვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ ხელშეკრულების ან/და სადაზღვევო პოლისი სხვა შემადგენელი დოკუმენტის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.
- 11.9. დაუშვებელია მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სადაზღვევო პოლისის შემადგენელი ნებისმიერი დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების გადაცემა სხვა პირისათვის, მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე.
- 11.10. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) იდენტულ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამზღვევს, ხოლო მეორე მზღვეველს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები მოცემულია შემდეგ გვერდზე:
ხელმოწერის გვერდი:

მზღვეველი

დამზღვევი

დასახელება - სს "საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი"

დასახელება - []

იურიდიული მისამართისაქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მარიჯანის ქ. №4, საოფისე ფართი №10.

იურიდიული მისამართი -

ფაქტობრივი მისამართი: - საქართველო, ქ. თბილისი, ფანჯიკიძის 22.

ფაქტობრივი მისამართი - []

ტელეფონი - +032 2 24 41 11

ტელეფონი

ელექტრონული ფოსტა - info@igg.ge

ელექტრონული ფოსტა -

საბანკო რეკვიზიტები:

საბანკო რეკვიზიტები:

სს "საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი"

ბანკი: _____

ა/ნ _____

ბანკის კოდი _____

არჩილ მორჩილაძე
გენერალური დირექტორი

XXXXXXX